ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი № 28

3 მაისი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2
12:00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

თამარ აბულაძე

გივი აბდუშელიშვილი

თინათინ თოდუა

მიხეილ ხურციძე

ირაკლი ჩხარტიშვილი

ტიტე ლეფსაია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩისთვის სავანეს სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის მხატვარ ირინა შტენბერგის სახელის მინიჭების შესახებ

6. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის იოსებ გრიშაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის, სამი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვამდე სახელდების პროცესის შესახებ ისაუბრა, თუ რა პროცედურები უნდა გაიაროს კომისიაში ნებისმიერი მოქალაქის განცხადებამ ვიდრე უსახელო ქუჩას კომისია სახელის მიანიჭებს.
თინათინ ნიბლოშვილმა ასევე განმარტა, რომ კომისია რეგულარულად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურთან. სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში კომისიის მიერ არაერთი ქუჩა დამისამართდა და არაერთ მოქალაქეს მოეხსნა მისამართის პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ კომისია მაქსიმალურად ცდილობს არ დაუშვას დედაქალაქის უკვე სახელდებული ქუჩებისთვის სახელების ცვლილება, თუ რა თქმა უნდა საქმე არ ეხება საბჭოთა ოკუპაციასთან ან ოკუპაციასთან ასოცირებულ ამა თუ იმ პირთან დაკავშირებულ სახელდებას. მისივე განმარტებით, კომისია გააგრძელებს არსებულ პრაქტიკას ქუჩის შესახვევების, გასასვლელების და ჩიხებისთვის ძირითადი ქუჩის სახელის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა.

1. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩისთვის, IV ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისია მსჯელობს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოთხოვნით კომისიას სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტიტის დირექტორმა ზაალ აბაშიძემ მომართა.

კომისიის სხდომაზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთან თამარ აბულაძესთან ერთად ღვაწლმოსილი ადამიანის, ელენე მეტრეველის დამსახურებასა და მოღვაწეობაზე იმსჯელეს. იგი იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი, რომლის ნაშრომებიც არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ცნობილი სამეცნიერო ცენტრების გამოცემებია, ხოლო 1968 წლიდან ორი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

კომისიის სხდომაზე მოქალაქე ეთერ გოგიჩაიშვილის განცხადებასთან დაკავშირებითაც იმსჯელეს, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს სამგორის რაიონში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ შეისწავლა ხსენებული უსახელო ტერიტორია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან ერთად. როგორც გაირკვა, ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩა ფიქსირდება რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტზე, რის გამოს ვერ ხერხდება სისტემური ნუმერაციის განხორციელება. არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, კომისიამ საჭიროდ ჩათვალა ახალი ქუჩათა ქსელის მომზადება, რომლის მიხედვითაც ერთ დამოუკიდებელ

ქუჩად ყალიბდება III და IV ქუჩების მონაკვეთი. წარმოქმნილ ქუჩასთან კი განვითარდა სამი შესახვევი.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების III ქუჩას, IV ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ სამ შესახვევს მიენიჭოს ფილოლოგის, აკადემიკოს ელენე მეტრეველის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას სახელის მინიჭების ინიციატივაზე ისაუბრა. სახელდების მოთხოვნით კომისიას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გ.კვესიტაძემ და აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველმა გივი აბდუშელიშვილმა მომართეს.
თინათინ ნიბლოშვილმა ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქეთევან მამულაშვილის წერილი წარმოადგინა, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს კრწანისის რაიონში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.
კომისიის სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველთან, გივი აბდუშელიშვილთან ერთად სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას მოღვაწეობაზე ვრცლად

ისაუბრეს. იგი იყო 103 სამეცნიერო სტატიის და 14 მონოგრაფიის ავტორი, სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად კი პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ირაკლი ჟორდანია იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერი.

კომისიამ ქეთევან მამულაშვილის მიერ მოწოდებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა უსახელო ტერიტორია. როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, კომისიას სურს სწორედ ხსენებულ უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიანიჭოს აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას სახელი.

თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმაც და საკითხი დადებითად გადაწყდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ცოლიკაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს ირაკლი ჟორდანიას სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ფრიდონ თუდუას სახელის მინიჭებაზე იმსჯელა. სახელდების მოთხოვნით კომისიას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემკოსმა გ.კვესიტაძემ მომართა.

კომისიის წევრებმა ფრიდონ თოდუას მოღვაწეობაზე ისაუბრეს. გარდა მეცნიერული და პროფესიული მოღვაწეობისა, აღსანიშნავია ასევე, რომ აშშ-ს ბიოგრაფიული კვლევის ინსტიტუტის (მსოფლიოს გამორჩეული პიროვნებების ბიოგრაფიების შემსწავლელი ორგანიზაცია) მიერ ფრიდონ თოდუა საზოგადოების წინაშე კეთილშობილური მიღწევებისთვის აღიარებულია 2003, 2008 და 2011 წლებში „წლის საუკეთესო ადამიანად".
თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიამ კონსულტაციები გამართა ფრიდონ თოდუას ოჯახთან და მათთან შეთანხმებით სახელდებისთვის შერჩეული იქნა უსახელო ქუჩა ვაკის რაიონში, ვაჟა ფშაველას გამზირთან. ქუჩასთან განვითარებულია ერთი შესახვევი.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ზემოხსენებულ საკითხს და დადებითად გადაწყვიტეს.
კომისიის სხდომას ესწრებოდა თინათინ თოდუა. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ფრიდონ თოდუას ღვაწლის დაფასებისთვის და ოჯახის ინტერესების გათვალისწინებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებულ უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელი.

4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩისთვის სავანეს სახელის მინიჭების შესახებ

5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის მხატვარ ირინა შტენბერგის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე ირინა შტენბერგის ქუჩისთვის სავანეს სახელის მინიჭებაზე იმსჯელეს. თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიამ კონსულტაციები გამართა მოსახლეობასთან. სწორედ მათი მოთხოვნა იყო ქუჩისთვის ისტორიული ტოპონიმის „სავანეს" სახელის მინიჭება. მოსახლეობის გადმოცემით, ასე ერქვა უბანს, რომელიც ირინა შტენბერგის ქუჩასაც მოიცავს.

კომისიამ გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა. თუმცა გამომდინარე ირინა შტენბერგის მოღვაწეობიდან, რომელიც უკავშირდება საქართველოს და თბილისს, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა. სახელდებისთვის შეირჩა გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა სამგორის რაიონში. ქუჩასთან განვითარებულია ერთი შესახვევი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე და მეხუთე საკითხები.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ირინა შტენბერგის ქუჩას მიენიჭოს სავანეს სახელი.

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს მხატვარ ირინა შტენბერგის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის იოსებ გრიშაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად კრწანისის რაიონში უსახელო სკვერის სახელდებაზე იმსჯელეს. სკვერს, რომლის სახელდებასაც მოსახლეობა და კრწანისის რაიონის პირველად სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ლევან ჯაფარიძე ითხოვს, კრწანისის რაიონის გამგეობის მხარდაჭერით ცოტა ხნის უკან ჩაუტარდა რეაბილიტაცია. სკვერი მდებარეობს იოსებ გრიშაშვილის ქუჩაზე.

კონისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ინიციატივას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს პოეტის იოსებ გრიშაშვილის სახელი.

7. **ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხი განიხილეს და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ნუგზარ შანავას ბიოგრაფიაზე ვრცლად ისაუბრეს. იგი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, გმირობისა და თავდადებისთვის, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თბილისში ნუგზარ შანავას სახელობის ქუჩის არსებობა. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ქუჩა კომისიამ ნუგზარ შანავას შვილთან, ზვიად შანავასთან ერთად კონსულტაციების შედეგად შეარჩია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გვარდიის კაპიტნის ნუგზარ შანავას სახელი.

8. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გენერალ-მაიორ რომან გვენცაძის სახელის მინიჭებაზე ისაუბრა. სახელდების მოთხოვნით კომისიას თბილისის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ ტიტე ლეფსაიამ და ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის მოძღვრებმა და მრევლმა მომართა.

კომისიის სხდომაზე რომან გვენცაძის ბიოგრაფიაზე ისაუბრეს. იგი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით და 5 მედლით.

როგორც ცნობილია, 2005 წელს მელაანის ქუჩას მიენიჭა ჯორჯ ბუშის სახელი, V შესახვევი კი დარჩა მელაანის სახელით. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით V შესახვევი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად. ქუჩასთან განვითარებულია ერთი ჩიხი.

საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდა განმცხადებელი და თბილისის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე ტიტე ლეფსაია. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ინტერესების გათვალისწინებისთვის, ასევე სახელდების პროცესში საკითხისადმი დროული და პროფესიონალური მიდგომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის V შესახვევს და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს გენერალ-მაიორი რომან გვენცაძის სახელი.

9. **ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის, სამი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: როგორც ცნობილია, კომისია მსჯელობს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. სხდომაზე აღნიშნულის მოთხოვნით კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოსული წერილები განიხილეს და ემირ ბურჯანაძის ბიოგრაფიაზე ვრცლად ისაუბრეს. ემირ ბურჯანაძე იყო თბილისის გერბის (ემბლემის), დროშის და თბილისის გასაღების ავტორი. სამხატვრო აკადემიის პროფესორი და თბილისის საპატიო მოქალაქე.
კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, ემირ ბურჯანაძის დამსახურებებიდან გამომდინარე, დედაქალაქში უნდა არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა.
სახელდებისთვის შეირჩა გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთი. ზოგადად, გარდაბნის გზატკეცილი შედგება ერთმანეთთან ქალაქგეგმარებითი კავშირის არ მქონე რამდენიმე მონაკვეთისგან, მისი გავრცელების არეალი კი მოიცავს რამდენიმე კილომეტრზე არსებულ ტერიტორიას. ხსენებული მოცემულობით გზატკეცილის დატოვება ართულებს როგორც სამისამართე აბრების განთავსების პროცესს, ასევე გეოგრაფიული ობიექტის ცალკეული მონაკვეთების მიგნებადობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცხრე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთს, მასთან არსებულ ოთხ შესახვევს, სამ ჩიხს და ერთ გასასვლელს მიენიჭოს მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის ქუჩის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

3 მაისი , 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი